თამარ სამარგულიანი
ახალი და უახლესი ისტორიის სამაგისტრო პროგრამა, თსუ
tamar.samarguliani.008@gmail.com

„პრაღის გაზაფხული“ – კრიზისი სოციალისტურ ბანაკში

საკვანძო სიტყვები: ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა, სოციალიზმი, ვარშავის პაქტი, სოციალისტური ბანაკი, ალექსანდრ დუბჩეკი, „პრაღის გაზაფხული“

Keywords: Czechoslovak Socialist Republic, Socialism, The Warsaw Troop, The Socialist Camp, Alexander Dubček, “Prague spring”

1968 წლის 5 იანვარს ალექსანდრ დუბჩეკის ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის პირველ მდივნად დანიშვნით იწყება „პრაღის გაზაფხულად“ წოდებული მოვლენა. ამ დროს ჩეხოსლოვაკიის ოფიციალურმა ხელისუფლებამ ხალხის ინტერესების დაკმაყოფილებისა და ქვეყნის საერთაშორისო ასპარეზზე დასაწინაურებლად პროგრესული რეფორმები, ე. წ. „სოციალიზმი ადამიანური სახით“[1] გაატარა. ახალი მთავრობის პოლიტიკური კურსი გულისხმობდა წარსული შეცდომების აღიარებასა და მათი გამოსასწორებელი გეგმის დასახვას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რეფორმისტ ძალას ასევე კომუნისტური პარტია წარმოადგენდა, რომელსაც უნდა განემტკიცებინა კომუნისტური წყობილების დამყარების კანონიერება და გაემყარებინა რწმენა, რომ პარტიას ქვეყნის მდგომარეობის დადებითისკენ შეცვლის ძალა, სურვილი, ინიციატივა და შესაძლებლობა გააჩნდა.

1968 წლის აპრილში მიღებულ „სამოქმედო პროგრამაში“ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის სამოქმედო კურსი და სამომავლოდ დასაკანონებელი დებულებები გაიწერა, მათ შორის აღმოჩნდა მრავალპარტიულობის აღდგენისა და პარტიების რეაბილიტაციის; ასევე ცენზურის გაუქმების ინიციატივა (ამ რეფორმით ჩეხოსლოვაკიაში დაიწყო კომუნიზმისადმი კრიტიკის შემცველი სტატიების, დამოუკიდებელი ჟურნალების გამოცემა, დაიწყო წინა მმართველების დროს დასჯილი პიროვნებების რეაბილიტაცია და მათი საქმეების გამოძიება, ეთნიკური უმცირესობის იდენტობის წარმოჩენა); ამასთან ერთად, დაანონსდა ეკონომიკური ცვლილებების აუცილებლობა (მოცემული გულისხმობდა ექსპორტის გაზრდას ძირითადად კაპიტალისტური სახელმწიფოების ხარჯზე, რადგან საბჭოთა კავშირის გავლენით საბაზრო ეკონომიკის ეს ნაწილი სოციალისტური სახელმწიფოსათვის აუთვისებელი იყო); ასევე მე-

[1] „სოციალიზმი ადამიანური სახით“ ბუნებრივია, გულისხმობდა, რომ მანამდე არსებული რეჟიმი ჩეხოსლოვაკიასა თუ სხვა სოციალისტურ ქვეყნებში ატარებდა „არაადამიანურ“ სახეს.

ტად აქტიური პოლიტიკური კურსის გატარება ცენტრალურ ევროპაში, რასაც ჩეხოსლოვაკიის საერთაშორისო ასპარეზზე დაწინაურება უნდა მოჰყოლოდა შედეგად.

პროგრესული რეფორმებისადმი დაინტერესება გამოიკვეთა სოციალისტურ სახელმწიფოების მოსახლეობაშიც, რომელიც იმავეს მოითხოვდა საკუთარი ლიდერებისაგან, რამაც პაქტის დანარჩენი ქვეყნების მმართველების შეშფოთება გამოიწვია. ამას ემატებოდა მოლოდინი, რომ რეფორმებით ჩეხოსლოვაკია დასავლეთ ევროპის ქვეყნებს დაუახლოვდებოდა. „სოციალიზმი ადამიანური სახით" ქმნიდა მოლოდინს, რომ რეფორმები ჩეხოსლოვაკიაში კომუნისტური პარტიის ლიდერობას დაამხობდა. მოცემულ სტატიაში ვისაუბრებთ საერთაშორისო, უპირველესად, ვარშავის პაქტის წევრთა რეაქციაზე „პრაღის გაზაფხულის" მოვლენაზე.

ჩეხოსლოვაკიაში, ისევე როგორც ყველა სხვა სოციალისტურ სახელმწიფოში, კადრების დანიშვნა კრემლის თანხმობით ხდებოდა. დუბჩეკის არჩევა ჩეხოსლოვაკიის პრეზიდიუმის მხრიდან არ იყო საბოლოო სიტყვა და აუცილებლობას წარმოადგენდა, რომ კანდიდატურა მოსკოვისათვის მოსაწონი ყოფილიყო. როგორც ჩანს, ალექსანდრ დუბჩეკის პიროვნება საბჭოთა კავშირისთვის მისაღები იყო ამ სახელმწიფოში მისი ცხოვრებიდან და ნოვოტნის[2], „სტალინისტის", რეპუტაციის მქონე პოლიტიკოსის ოპონენტობიდან გამომდინარე, ამგვარად საბჭოთა კავშირს ჩეხოსლოვაკიის მომავალი ლიდერისგან წინააღმდეგობის მოლოდინი არ ჰქონია. მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირს არ გამოჰპარვია კადრების ცვლილება, რომელიც დუბჩეკმა განახორციელა ნოვოტნის მომხრეთა პროგრესულად მოაზროვნეების ჩანაცვლების მიზნით. დუბჩეკი მიიჩნევდა, რომ სოციალიზმის ცვლილება ვერ განხორციელდებოდა კონსერვატიულად მოაზროვნე პირების ხელით, ამიტომ ინტენსიურად დაიწყო მათი ჩანაცვლება. შინაგან საქმეთა სამინისტროში მომუშავე 10 000 ადამიანიდან 30% ასევე მუშაობდა საბჭოთა კავშირზე (Dawisha 1984: 53), ასე რომ თანამდებობიდან მათი გათავისუფლება ნოვოტნის გავლენის კლებასთან ერთად ავტომატურად ნიშნავდა საბჭოთა კავშირის გავლენის შესუსტებასაც. თებერვალში, ბრეჟნევთან შეხვედრისას დუბჩეკის მიმართულებით გაჟღერებული გამაფრთხილებელი მოწოდებები მიგვითითებს უკმაყოფილებაზე, რომელიც ჩეხოსლოვაკიის მხრიდან ინდივიდუალური მმართველობის სურვილმა გამოიწვია, მაგალითად „ჩვენ კოლექტიური მმართველობა გვაქვს, რაც ნიშნავს, რომ ერთის აზრი უნდა დაექვემდებაროს სხვებისას" (Dawisha 1984: 19).

საინტერესოა, რომ ჩეხოსლოვაკიაში მიმდინარე რეფორმებით შეშფოთება საჯაროდ პირველად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის – გდრ-ის –

[2] ანტონინ ნოვოტნი (1953-1968) ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი. 1957 წლიდან ქვეყნის პრეზიდენტიც. მისი მმართველობის დროს გაიზარდა კომუნიზმით და ხელისუფლებით უკმაყოფილოთა რიცხვი. 1968 წლის იანვარში პრეზიდიუმმა მას ჩამოართვა პირველი მდივნის თანამდებობა ალექსანდრ დუბჩეკის სასარგებლოდ, მაგრამ 22 მარტამდე შეუნარჩუნა პრეზიდენტის პოსტი. მნიშვნელოვანია, რომ ახალი პრეზიდენტის არჩევა ფარული კენჭისყრით გზით განხორციელდა. ნოვოტნის ირგვლივ თავი მოიყარა დუბჩეკის ოპოზიციამ.

პირველმა მდივანმა, უოლტერ ულბრიხტმა გამოთქვა, რომელიც შეაშინა დუბ-ჩეკის სახალხო გამოსვლებმა და მისმა „სამშვიდობო პოლიტიკამ“. დუბჩეკის განცხადება, რომ ჩეხოსლოვაკიას ყველა ევროპულ სახელმწიფოსთან, მიუხე-დავად პოლიტიკური წყობისა, ნორმალური ურთიერთობა უნდა აღედგინა (The Action Programme 1969: 134), ვარშავის პაქტის სახელმწიფოებმა აღიქვეს, რო-გორც ჩეხოსლოვაკიის მზაობად, ოფიციალურად ეღიარებინა გერმანიის ფე-დერაციული რესპუბლიკა – გფრ – დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. 1967 წლის კარლოვი-ვარის ხელშეკრულებით ვარშავის პაქტის არც ერთ სახელმწიფოს არ უნდა ეღიარებინა გფრ მანამ, სანამ დასავლეთი არ აღიარებდა გდრ-ის ლეგიტიმურობას. ულბრიხტის შიშს ამართლებდა ინფორმაცია, რომ გფრ-ის საზღვართან იპოვეს გადაჭრილი მავთულები და მორღვეული ელექტრობარი-ერი (Dawisha 1984: 53). არსებობდა ვარაუდი, რომ უფრო მეტი იმპერიალიზმის „აგენტი“ შეძლებდა საზღვრის გადმოკვეთას და აგიტაციას და უფრო მეტიც, სოციალისტური ბანაკის ქვეყნებისთვის ეს იქნებოდა არალეგალური გზა და-სავლეთში გასაქცევად. ჩეხოსლოვაკიაში იზრდებოდა დასავლელი ტურისტე-ბის რაოდენობაც (McDermott 2015: 130).

ვარშავის პაქტის სახელმწიფოთა შორის უკმაყოფილებას შეუერთდა ვლა-დისლავ გომულკაც, პოლონეთის კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი, რომლის სახელმწიფოშიც 1956 წელს დაწყებული პროტესტის ტალღა ჩეხოს-ლოვაკიურმა მოვლენებმა კვლავ განაახლა. ცენზურის გაუქმების მოთხოვნით სტუდენტთა გამოსვლები მოეწყო, რომლებიც ღიად უჭერდნენ მხარს ჩეხოს-ლოვაკიაში მიმდინარე პროცესებს და იმავეს მოითხოვდნენ საკუთარი ხელი-სუფლებისგანაც (Kemp-Welsh 2018: 130). ლიბერალური რეფორმების გატარება საფრთხეს უქადდა არსებულ წყობასა და მკაცრ რეჟიმს. ბულგარეთი და მისი ლიდერიც ტოდორ ჟივკოვი მიიჩნევდა, რომ ჩეხოსლოვაკია „ცუდი მაგალითი“ იყო სოციალისტური სახელმწიფოებისთვის. ვარშავის პაქტისთვის პრობლემა მდგომარეობდა დუბჩეკის პროგრესულობაში და არა დამკვიდრებული რეჟი-მის უუნარობაში. ამგვარად, „პრაღის გაზაფხულის“ შეჩერების ინიციატორად გამოვიდნენ გდრ, პოლონეთი, ბულგარეთი და სსრკ. უნგრეთი, იანოშ კადარის ლიდერობით, მართალია რეფორმების მომხრე იყო, თუმცა 1956 წლის მოვლე-ნების გამეორებისა და საბჭოთა არმიის ქვეყანაში ყოფნით გამოწვეული ში-შით მან წინააღმდეგობის გაწევა გადაიფიქრა და კონფლიქტში მოგვევლინა, როგორც ალექსანდრ დუბჩეკის რეფორმათა მოწინააღმდეგე.

პოლიტიკური სიტუაციის გასარკვევად და მოსალაპარაკებლად 1968 წლის 23 მარტს დრეზდენში დაიგეგმა საბჭოთა კავშირის, გდრ-ის, პოლონეთის, უნ-გრეთის, ბულგარეთისა და ჩეხოსლოვაკიის სახალხო რესპუბლიკათა წარმო-მადგენლების შეხვედრა, სადაც შეთანხმდნენ კონფერენციის ჩატარებაზე ეკონომიკური გამოწვევებისა და პრობლემების შესახებ (ამგვარად, გარკვე-ულწილად ყველამ აღიარა ეკონომიკური გარდაქმნების აუცილებლობა), ასე-ვე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ვარშავის ჯარების ინტენსიური წვრთნის შესახებ (იმპერიალისტური ძალებისა და ანტაგონისტური კლასის კონტრრე-ვოლუციის შესაჩერებლად) და ჩეხოსლოვაკიის საშინაო საქმეებში ჩაურე-ვლობაზე, რადგან მათ მიიღეს გარანტიები დუბჩეკისაგან, რომ რადიკალურ გა-

დაწყვეტილებებს კოლექტიური თანხმობის გარეშე აღარ გაატარებდა და რომ პროცესები ჩეხოსლოვაკიაში კომუნისტური პარტიის კონტროლს ექვემდებარებოდა.

მიუხედავად გაცემული დაპირებებისა, აშკარა იყო, რომ ჩეხოსლოვაკიაში დემოკრატიული პროცესები პაქტის ინტერესებსა და ხედვას სცდებოდა. 3 მარტს მიღებულმა გადაწყვეტილებამ, იან მასარიკის[3] სიკვდილის გამოძიებასთან დაკავშირებით, პოლიტიკურად რეპრესირებულების რეაბილიტაციამ, ცენზურის გაუქმებამ და 5 აპრილს გამოქვეყნებულმა „სამოქმედო პროგრამამ“ პაქტის წევრებს შორის ეჭვები კვლავ გააჩინა. როგორც სერგეი კოვალოვმა აღნიშნა გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში, „სოციალისტურ საზოგადოებაში არ არის და ვერ იქნება თავისუფლება იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ცდილობენ მუშათა კლასზე უპირატესობის მოპოვებას... არ არსებობს თავისუფლება კრიმინალებისთვის, ომისა და რასიზმის პროპაგანდისტებისთვის თუ კონტრრევოლუციონერებისთვის... სოციალური დემოკრატია წარმოუდგენელია საზოგადოების გარეშე, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს“ (Ковалев 1968a: 2).

განსაკუთრებული სითამამის გამოხატულება იყო გავრცელებული ინფორმაცია, რომ ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ სესხის ასაღებად მსოფლიო ბანკს მიმართა და შესაბამისად, თანხმობა განაცხადა დასავლეთისგან ფინანსების მიღებაზე. ამგვარი პოლიტიკა აბათილებდა „ორმხრივი ურთიერთდახმარების საბჭოს“[4] საჭიროებას და საბჭოთა კავშირი, როგორც ლიდერი სახელმწიფო, გამოჰყავდა ეკონომიკურად უუნაროდ, რომელიც ვერ ეხმარებოდა მეზობელ და მეგობარ სახელმწიფოს. როგორც მოგვიანებით იოსებ სმრკოვსკიმ[5] აღნიშნა, ჩეხოსლოვაკიის ამგვარი გადაწყვეტილება გამოწვეული იყო „...მანუფაქტურული ინდუსტრიის მოდერნიზებით. ჩვენ გვჭირდებოდა დაახლოებით 400-500 მილიონი რუბლი. ჩვენ გვინდოდა სესხი საბჭოთა კავშირისაგან და გადავწყვიტეთ, რომ თუკი საბჭოელ ამხანაგებს არ შეეძლოთ ჩვენთვის ამ თანხის სესხება, მას ჩვენ მოვიძიებდით მსოფლიო ბანკში ან სხვა რესურსებიდან. ჩვენი მხრიდან ეს გარიგება იქნებოდა მტკიცედ კომერციული ხასიათის ყველანაირი პოლიტიკური ბმების გარეშე“ (Dawisha 1984: 73).

---

[3] იან მასარიკი – ჩეხოსლოვაკიის პირველი პრეზიდენტის – ტომაშ მასარიკის შვილი, 1940 წელს ის დაინიშნა ემიგრირებული მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრად. მან დიდი როლი ითამაშა ნაცისტური ოკუპაციის დასრულებაში. გარდაიცვალა კომუნისტური მმართველობის დამყარებიდან ორ კვირაში. ოფიციალური ვერსიით ადგილი ჰქონდა თვითმკვლელობას, თუმცა მოსახლეობა ვარაუდობდა მკვლელობის ვერსიას. ხალხის მოთხოვნის მიუხედავად, გამოძიება „პრაღის გაზაფხულამდე“ არ დაწყებულა და ინტერვენციის მიზეზით ის ვერც დასრულდა. 1990-იანებში ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ დადასტურდა იან მასარიკის მკვლელობა.

[4] ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო – 1947 წელს აღმოსავლეთ ევროპაში ინტეგრირებული ეკონომიკური ბლოკის შესაქმნელად და მარშალის გეგმისა და ევროპის ეკონომიკური ურთერთთანამშრომლობის ორგანიზაციის საპირწონედ დაარსებული ორგანიზაცია.

[5] იოსებ სმრკოვსკი – ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ასამბლეის პრეზიდენტი „პრაღის გაზაფხულის“ დროს.

8 მაისს მოსკოვში ვარშავის პაქტის სახელმწიფოთა ლიდერები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. ამ შეხვედრაზე ჩეხოსლოვაკიის დელეგაცია არ მიუწვევიათ. პაქტის წევრებმა გადაწყვიტეს, რომ პოლიტიკური სანქციები ჩეხოსლოვაკიის მიმართ ამ უკანასკნელს უბიძგებდა მიეღო დასავლეთის ფონდების დახმარება, ამიტომ აუცილებლობას წარმოადგენდა მისთვის საჭირო თანხების სესხება, რამდენად დიდიც არ უნდა ყოფილიყო ის. ამასთან ერთად განიხილეს პაქტის ჯარების წვრთნისა და მისი ჩეხოსლოვაკიაში განლაგების აუცილებლობა. ჩეხოსლოვაკია, რომელიც სოციალისტურ ბლოკში გეოგრაფიულად ყველაზე ახლოს იყო დასავლეთთან და უკანასკნელი პოლიტიკური ცვლილებებით შესაძლოა გამხდარიყო ნატოს მხრიდან „თავდასხმის“ მსხვერპლი, ამასთან ერთად წარმოადგენდა სამხედრო თვალსაზრისით ყველაზე „სუსტ“ სახელმწიფოს, რადგან მის ტერიტორიაზე არ იდგა წითელი არმია და მას არ გააჩნდა ატომური თავდასხმის მოსაგერიებლად მზაობა, ისევე როგორც ატომური იარაღი. ამიტომ პაქტი ვალდებულებას იღებდა, ეზრუნა მისი ძალების გაძლიერებასა და ამგვარად სხვა სოციალისტური ქვეყნების დაცვაზე (Whetten 1969: 60). პაქტის ჯარების წვრთნა ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში უნდა დაწყებულიყო ივნისში.

მაისის ბოლოს უკვე აშკარა იყო, ჩეხოსლოვაკიაში რეფორმათა შეჩერების იმედი არც ერთ სახელმწიფო ლიდერს არ უნდა ჰქონოდა. მიუხედავად იმისა, რომ დუბჩეკი სიტყვიერად ცდილობდა ბრეჟნევის დარწმუნებას, რომ სიტუაციას კომუნისტური პარტია აკონტროლებდა და ჩეხოსლოვაკიაში სოციალიზმს საფრთხე არ ემუქრებოდა, პაქტის წევრები იმავე აზრს აღარ იზიარებდნენ. დემოკრატიული სოციალიზმის წარმატებას აუცილებლად მოჰყვებოდა საპროტესტო გამოსვლები მსგავსი მოთხოვნით თითოეულ სახელმწიფოში. რეფორმათა წარუმატებლობის შემთხვევაში კი ივარაუდებოდა პრაღაში კონტრრევოლუცია და პროდასავლური ძალების გამარჯვება, რის შემდეგაც ვარშავის პაქტი დაკარგავდა სოციალიზმისადმი ყველაზე ერთგულ[6], ეკონომიკურად ყველაზე მნიშვნელოვან სახელმწიფოს, რომელიც მთელ ბლოკს ინდუსტრიული პროდუქტით ამარაგებდა. ივლისის თვემდე ბრეჟნევს იმედი ჰქონდა რეფორმათა წარუმატებლობის და სურდა ჩეხოსლოვაკიელ ხალხს და მათთან ერთად, ყველა სოციალისტური ქვეყნის მოქალაქეს, დაენახა დემოკრატიზაციის არაეფექტურობა, მედია საშუალებებით გამოეკვეთათ ჩეხოსლოვაკიაში რეფორმათა ნაკლოვანებები, თავად დუბჩეკსა და მის ხელისუფლებას შეეწყვიტა აპრილის სამოქმედო პროგრამის განხორციელება და ხელი აეღო პრობლემათა ინდივიდუალური გადაწყვეტის პოლიტიკაზე (Dawisha 1984: 143), რაც ასეთი საფრთხის შემცველი იყო კოლექტიურად მართული „ვარშავის პაქტისათვის“.

ერთი მხრივ, მოკავშირე ქვეყნების მხრიდან ზეწოლა, მეორე მხრივ, ხალხის მოთხოვნა რეფორმათა განხორციელებაზე, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიას აიძულებდა დაეჩქარებინა პროცესი და აპრილის სამოქმედო პროგრამისა და ახალი კონსტიტუციის დამტკიცების თარიღი 1969 წლიდან 1968 წლის 9

[6] კომუნისტური პარტია ჩეხოსლოვაკიაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ძირითადად, ამგვარი შეხედულება გამოწვეული იყო ქვეყნის ნაცისტური გამოცდილებით, საბჭოთა კავშირი კი ამ ტრაგედიისგან დამხსნელ გმირად აღიქმებოდა.

სექტემბერს გადმოეწია. მოქმედებათა დაჩქარება საერთაშორისო ასპარეზზე სიტუაციას უფრო მეტად ამძიმებდა. კრიზისი განსაკუთრებულად გამძაფრდა ივნისში, რისი მიზეზიც გაზეთ "Literární listy"-ში 27 ივნისს გამოქვეყნებული მანიფესტი გახდა.

ჩეხი მწერლისა და ჟურნალისტის, ლუდვიკ ვაცულიკის, მანიფესტი – „2000 სიტყვა" კონტრრევოლუციურად შეირაცხა და განგაშის სიგნალივით იმოქმედა „ვარშავის პაქტის" ქვეყნებზე. მანიფესტში საუბარი იყო იმ იმედგაცრუებაზე, რაც კომუნისტური წყობის დამყარებამ მოუტანა მოქალაქეებს. ამხელდა პოლიტიკოსთა არაკომპეტენტურობას, პარტიული ნიშნით გამორჩევას, ბიუროკრატიულობასა და უმოქმედობას: „არჩევნებმა დაკარგა მნიშვნელობა, ხოლო კანონმა – ფასი. ვერავის შეეძლო ნდობა გამოეხატა არჩეული დეპუტატების მიმართ ან თუ შეეძლოთ უშედეგო იყო მათთვის რაიმეს კითხვა, რადგან უძლურები იყვნენ. უფრო მეტიც, ჩვენ არ შეგვეძლო ერთმანეთის ნდობა" (Vaculik 1969: 197). მანიფესტში დამაიმედებელ ფაქტორად იყო მოხსენიებული პარტიის ახალი, ლიბერალური კურსი: „იმედის დროს, თუმცა ეს იმედიც საფრთხის ქვეშაა, ჩვენ მოგმართავთ. რამდენიმე თვე დასჭირდა, სანამ ბევრი ჩვენგანი დაიჯერებდა, რომ ხმის ამოღება უსაფრთხოა, ბევრ მათგანს ახლაც არ სჯერა... ჩვენ არ გვაქვს სხვა არჩევანი, გარდა ჩვენი გეგმის განხორციელებისა, რომელიც რეჟიმის გაადამიანურებას ისახავს მიზნად. თუ ჩვენ გავჩუმდებით, ძველი ძალები ბოროტად იძიებენ შურს" (Vaculik 1969: 198). მანიფესტი უცხოელთა ჯარის შემოსვლას ატყობინებდა ხალხს და მოუწოდებდა, დაეცვა დემოკრატიული ღირებულებები, რომელიც ქვეყანაში ტარდებოდა. „ამ ზაფხულს ჩვენ ომის შემდეგ კიდევ მოგვეცა შესაძლებლობა. კიდევ ერთხელ, ჩვენ გვაქვს შანსი საკუთარ თავზე ავიღოთ საზოგადო კეთილდღეობის გარანტია, რასაც სოციალიზმს ვეძახით, მივცეთ მას ჩვენი რეპუტაციისთვის შესაფერისი ფორმა და დავიბრუნოთ საკუთარ საზოგადოებაზე დაკარგული დადებითი წარმოდგენა. ზაფხული დასრულდა და აღარ დაბრუნდება, ზამთრისთვის ჩვენ ყველაფერი გვეცოდინება" (Vaculik 1969: 201). მანიფესტი გამოქვეყნდა ვარშავის პაქტის ჯარების წვრთნების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე. ვაცულიკის მანიფესტმა ვარშავის პაქტის წევრებს ეჭვი გაუჩინა, რომ იგი კონტრრევოლუციონერთა ინტერესებს გამოხატავდა. განსაკუთრებით საშიში იყო ფრაზა: „გაჟღერდა საშიშროება, რომ უცხო ძალები სავარაუდოდ გეგმავენ ჩაერიონ ჩვენს განვითარებაში. რამდენად ძლიერ და აღმატებულ ძალებსაც არ უნდა გავუსწოროთ თვალი, ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ პოზიცია, მოვიქცეთ შესაბამისად. უნდა ვაგრძნობინოთ ჩვენს მთავრობას, რომ მის გვერდით ვდგავართ იარაღით, თუ ეს საჭირო გახდება" (Vaculik 1969: 207).

ჩეხოსლოვაკიაში მიმდინარე პროცესების განსახილველად კიდევ ერთი შეხვედრა დაინიშნა ვარშავაში, სადაც ჩეხოსლოვაკია წარმოდგენილი არ ყოფილა. შეხვედრის მონაწილე სახელმწიფოებმა წერილით მიმართეს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიას. წერილში აღნიშნული იყო პაქტის წევრების შიშის მიზეზი და იკითხებოდა მოწოდება, ულტიმატუმი, შეწყვეტილიყო ჩეხოსლოვაკიაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესები, წინააღმდეგ შემთხვევა-

ში გამოყენებული იქნებოდა ვარშავის პაქტის ჯარი. „ჩვენ არ გვქონია და არ გვაქვს განზრახვა ჩავერიოთ თქვენი პარტიისა თუ ქვეყნის საშინაო საქმეებში, ან დავარღვიოთ პატივისცემის პრინციპები, ავტონომია და თანასწორობა კომუნისტურ პარტიებსა და სოციალისტურ ქვეყნებს შორის... ჩვენ არ ვერევით თქვენი დაგეგმვის მეთოდებსა და ჩეხოსლოვაკიის ეკონომიკის ადმინისტრირებაში, ან თქვენს ქმედებებში შექმნათ ეკონომიკური სტრუქტურა და განავითაროთ სოციალისტური დემოკრატია... ამავე დროს, ჩვენ არ შეგვიძლია ნება მივცეთ მტრულ ძალებს, გადაგახვევინოთ სოციალიზმის გზიდან და შექმნათ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური თანამეგობრობიდან გასვლის საფრთხე. ეს მხოლოდ თქვენ აღარ გეხებათ. ეს ეხება ყველა კომუნისტს და მუშათა პარტიას, ისევე როგორც სახელმწიფოებს, რომლებიც გაერთიანდნენ ვარშავის პაქტში, რათა დაიცვან ევროპაში დამოუკიდებლობა, მშვიდობა და უსაფრთხოება“ (Центральному Комитету... 1968: 1). წერილში ნახსენები იყო ვარაუდი, ჩეხოსლოვაკიის საზღვართან ნატოს მიერ მობილიზებული არმიის არსებობასთან დაკავშირებით, ამავე მიზეზით ჰქონდათ მოლოდინი, დასავლეთის სახელმწიფოების მხრიდან თავდასხმისა. „თითოეული პარტია ატარებს პასუხისმგებლობას იზრუნოს არა მხოლოდ საკუთარ მუშათა კლასსა და ხალხზე, არამედ მსოფლიოს მუშათა კლასსა და მსოფლიოს კომუნისტურ მოძრაობაზე“ (Центральному Комитету... 1968: 1). ამგვარად, ისინი საჯაროდ ითხოვდნენ ჩეხოსლოვაკიის მთავრობას დაეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნები: ანტისოციალისტური და მემარჯვენე ძალების შევიწროება, ყველა იმ ორგანიზაციის გაუქმება, რომელიც არ გამოხატავდა სოციალიზმის პრინციპებს, მედიაზე ცენზურის აღდგენა და მარქსიზმ-ლენინიზმის ერთგულება. ვარშავის წერილს მოჰყვა ორმხრივი შეხვედრების დაგეგმვა მოსკოვსა და პრაღას შორის ჩიერნა ნად ტისოუსა და ბრატისლავაში. 3 აგვისტოს სრკ-სა და ჩეხოსლოვაკიას შორის სლოვაკეთის დედაქალაქში გამართულ შეხვედრაზე პირველად წაიკითხეს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის წევრებისა და მთელი ქვეყნის სახელით დაწერილი ფარული წერილი, სადაც გაჟღერდა მოწოდება, თხოვნა, საბჭოთა კავშირის მიმართ, ეხსნათ სახელმწიფო მტრული ძალებისა და იმპერიალისტებისაგან. „ჩვენმა კოლექტივმა, პარტიის ლიდერებმა, შეცდომები დავუშვით. ჩვენ ვერ დავიცავით მარქსიზმ-ლენინიზმის ნორმები, ისევე როგორც დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპები. პარტიის მმართველებს აღარ აქვთ შესაძლებლობა დაიცვან სახელმწიფო სოციალიზმზე განხორციელებული წარმატებული თავდასხმებისგან და არ შეუძლიათ გაუწიონ იდეოლოგიური თუ პოლიტიკური წინააღმდეგობა მემარჯვენე ძალებს. სოციალიზმის არსებობას ჩვენს სახელმწიფოში საფრთხე ემუქრება. ჩვენს ქვეყანაში არსებული რთული და საშიში ვითარებიდან გამომდინარე, ვითხოვთ, რომ ჩვენი მომართვა გასაიდუმლოებული დარჩეს, ამ მიზნით გწერთ პირადად, რუსულად“ (Letter from Czech Communist... 2012). საეჭვო შინაარსის „მოსაწვევი წერილი“ ვარშავის პაქტისთვის საბაბი გახდა. დაეგეგმა სამხედრო ინტერვენცია – „ოპერაცია დუნაი“ (“Operation Danube“). 17-18 აგვისტოს ვარშავის პაქტის პოლიტბიუროებში

არაანონიმური კენჭისყრის საფუძველზე ჩეხოსლოვაკიაში შესვლის აუცილებლობა გადაწყდა (McDermott 2015: 144).

21 აგვისტოს გამთენიისას, 165 000-მა ჯარისკაცმა და 4600-მა ტანკმა გადაკვეთა ჩეხოსლოვაკიის საზღვარი. ჯარისკაცების რაოდენობა ერთ კვირაში ნახევარ მილიონამდე, ხოლო ტანკების 6000-მდე გაიზარდა, მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის ცნობით ჩეხოსლოვაკიაში კონტრრევოლუციური ძალა 40 000 კაცამდე ითვლიდა (Goodman 1969: 58). გაუგებარია და აუხსნელია ასეთი რაოდენობით მობილიზება იმ სახელმწიფოში, რომელიც ღიად აფიქსირებდა პაქტის მიმართ ერთგულებას და არ უწევდა პაქტის ჯარებს შეიარაღებულ წინააღმდეგობას. ვარშავის პაქტის ჯარებმა ალყაში მოაქციეს ცენტრალური კომიტეტის შენობა, დააპატიმრეს დუბჩეკი, სმრკოვსკი, დეპუტატი კრიეგალი და პრემიერი ჩერნიკი. ჩეხოსლოვაკიის ლიდერები მოსალაპარაკებლად ხელბორკილებით მოსკოვში გადაიყვანეს, სადაც მუქარის რეჟიმში დაითანხმეს კომპრომისულ შეთანხმებაზე. ბრეჟნევი იმუქრებოდა ჩეხოსლოვაკიის „შთანთქმით“ და 14-მილიონიანი მოსახლეობის განადგურებით (Goodman 1969: 58). მიუხედავად იმისა, რომ ბრძანებით მოქალაქეების წინააღმდეგ ცეცხლი არ უნდა გახსნილიყო, ინტერვენციას 137 მოქალაქის სიცოცხლე შეეწირა (McDermott 2015: 145). ეს იმ პირობებში, როცა შეიარაღებულ წინააღმდეგობას მოსახლეობის მხრიდან ადგილი არ ჰქონია. „მოსაწვევი წერილში“ გაშუქებული საფრთხე ანულირდა ფაქტით, რომ არანაირი კონტრრევოლუციური გამოსვლა ან შეიარაღებული წინააღმდეგობის ფაქტი მოსახლეობის თუ ჩეხოსლოვაკიის არმიის მხრიდან, ისევე როგორც დასავლეთისგან, არ დაფიქსირებულა, ასევე საეჭვო გახდა თავად წერილის რეალურობა, რადგან მას არც ერთი პოლიტიკოსი, თუ მოქალაქე ოფიციალურად არ აწერდა ხელს (Goodman 1969: 58). ინტერვენცია დასრულდა 26 აგვისტოს „მოსკოვის პროტოკოლის“ მიღებით, რომლითაც უნდა მომხდარიყო დუბჩეკის დროს თანამდებობიდან დათხოვნილი პოლიტიკოსების რეაბილიტაცია, ცენზურის დამყარება, არასოციალისტური ორგანიზაციების დახურვა (McDermott 2015: 146). დუბჩეკმა და დაპატიმრებულმა პირებმა თანამდებობები დროებით შეინარჩუნეს, თუმცა „ნორმალიზაციის“ პირობებში 1969 წლისთვის თითქმის ყველა ჩამოაშორეს ხელისუფლებას.

ინტერვენცია „ვარშავის პაქტის“ პოზიციიდან ცხადდებოდა „აუცილებელ და გარდაუვალ ქმედებად“, თუმცა საინტერესოა, რამდენად შეესაბამებოდა მათი არგუმენტები სიმართლეს. საგარეო საფრთხისგან, ნატოს ჯარებისგან თავდასაცავად ნახევარმილიონიანი არმია უნდა განლაგებულიყო დასავლეთ საზღვართან, საიდანაც კაპიტალისტური ქვეყნების შემოჭრა ივარაუდებოდა, რაც არ მომხდარა. შეჭრის შემდეგ არანაირი კონტრრევოლუციური ძალის არსებობა არ დადასტურდა, თუმცა მშვიდობიანი მოსახლეობა – 137 ადამიანი მაინც დაიღუპა. ჩეხოსლოვაკიის მთავრობას არ გაუკეთებია ოფიციალური განცხადება, რითაც ვარშავის პაქტის სახელმწიფოებს პირდაპირ დაემუქრებოდა, რადგან საფრთხე, რომელსაც ინტერვენციის მონაწილე სახელმწიფოები გრძნობდნენ, იყო მათივე ვარაუდი და პროგნოზი. აქვე, ლოგიკას მოკლებულია პაქტის ჯარების მასშტაბები და რაოდენობა, რომელიც თითქმის ორჯერ აღე-

მატებოდა ჩეხოსლოვაკიის არმიას (ჩეხოსლოვაკიის არმია 200 000 ადამიანს ითვლიდა) (Goodman 1969: 68). ცხადია, რომ ტანკებისა და ჯარისკაცების ამგვარმა მობილიზებამ ფსიქოლოგიური გავლენა მოახდინა. კოალიციურმა ჯარმა აიძულა ჩეხოსლოვაკიის კანონიერ ხელისუფლებას რეფორმებზე, მე-14 ყრილობის ჩატარებასა და დემოკრატიული ცვლილებების დაკანონებაზე უარი ეთქვა. სახელმწიფო დაუბრუნდა მათთვის სასურველ პოლიტიკურ კურსს, რომელიც სრულიად მიუღებელი იყო ჩეხოსლოვაკიის მოსახლეობისთვის.

„ვარშავის პაქტის" ჯარების ინტერვენციას ჩეხოსლოვაკიელი მოსახლეობის მხრიდან დიდი პროტესტი მოჰყვა. მათი სახელმწიფოს სუვერენიტეტი დაირღვა, მათი ლიდერები ხელბორკილებით წაიყვანეს მოსკოვში, მათ განვითარების, პროგრესის შანსი წაართვეს, თუმცა მოსახლეობის მხრიდან სამართლიანი პროტესტის გამოხატვას ძალადობრივი და შეიარაღებული სახე არ მიუღია, რაც თავისებურად გვიჩვენებს ჩეხი და სლოვაკი ხალხის დემოკრატიულობის დონეს. მათ ძალადობით არ გააქარწყლეს თვეების განმავლობაში მიღწეული ლიბერალიზაციის პროცესი, შეიარაღებული თავდასხმებით არ მისცეს საბჭოთა კავშირს ალიბი, კონტრრევოლუციის არსებობის ეჭვი დაედასტურებინათ. ნაცვლად ამისა, პროტესტი გამოხატეს სიტყვიერად და ჯარისკაცების მიმართ სრული აპათიის გრძნობით. არალეგალური რადიოსადგურებიდან ვრცელდებოდა მოწოდება, არ დახმარებოდნენ ჯარისკაცებს და არ გაენაწილებინათ მათთვის საჭმელი ან წყალი. საბჭოთა ჯარისკაცები ძალადობით, დარბევის მეთოდებით ძარცვავდნენ მაღაზიებს, რომელთა ფანჯრებზეც, მეორე დღეს ჩნდებოდა წარწერები „რუსებმა ყველაფერი გადაჭამეს", „ლენინ, წამოდექი, ბრეჟნევი გაგიჟდა!" (Tschechoslowakei/Sowjet-Einmarsch: Potschemu: 1968). მშვიდობიანი პროტესტანტები ტანკებზე, ინტერვენციის ყველაზე აშკარა მაჩვენებელზე ტოვებდნენ წარწერებს – „აგრესორებო", „რატომ?" ან ნიშან-სვასტიკას, რომელიც მომხდარის სისასტიკეს და ნაციზმთან, მწარე გამოცდილებასთან კავშირზე მიუთითებდა.

27 აგვისტოს ჩეხოსლოვაკიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სახელმწიფოს ლიდერი, დუბჩეკი ქვეყანაში დაბრუნდა და მოქალაქეებს მიმართა. ამ დროისთვის უკვე დასრულებული იყო მოსკოვთან მოლაპარაკებები, ისევე როგორც „პრაღის გაზაფხულის" რეფორმათა განხორციელების იმედი. სიტყვით გამოსვლისას დუბჩეკმა მოსახლეობას სიმშვიდის შენარჩუნებისკენ მოუწოდა, დაამშვიდა და თანაუგრძნო მათ. ასევე დააანონსა სახელმწიფოში ნორმალიზაციის პროცესის დაწყება, რომელში მონაწილეობისა და დახმარების სურვილს საბჭოთა კავშირი გამოთქვამდა. თუმცა, ამავე დროს, როგორც სტენოგრაფიული ჩანაწერები გვამცნობს, დუბჩეკს ხმა უკანკალებდა და სიტყვებს შორის დიდ პაუზებს აკეთებდა. ის ნერვიულობდა და უჭირდა ხალხისთვის ემცნო სამწუხარო ინფორმაცია. „ჩვენ ვალდებულები ვართ, არ დავნებდეთ, თუმცა შესაძლოა ამ რთულ დროებაში ჩვენი სურვილი ჰუმანისტური და სოციალისტური პრინციპების გამოხატვისა პარადოქსს ჰგავდეს. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ რწმენა საკუთარი ძლიერებისა, რწმენა საკუთარი ხალხისა, რადგან მხოლოდ ერთიანობით შევძლებთ ჩვენი პოზიციის დაცვას...

თანამემამულენო, გევედრებით, რომ დაგვეხმაროთ თავიდან ავირიდოთ ნებისმიერი სახის პროვოკაცია მათგან, ვინც ცდილობს სიტუაციის გაუარესებას“ (Dubcek Speech: 1968). მიუხედავად იმისა, რომ დუბჩეკმა საჯაროდ გამოაცხადა „ნორმალიზაციის“ პოლიტიკა და მმართველობის პერიოდში კვლავ აღდგა ცენზურა, გაძლიერდა კომუნისტური პროპაგანდა და დემოკრატიული ღირებულებები თითქოს მთლიანად გაუფასურდა, დუბჩეკმა ხალხს სიმშვიდის შენარჩუნებისა და დემოკრატიული ღირებულებების ერთგულებისკენ მოუწოდა.

ძალადობას ჩეხოსლოვაკიის მხრიდან ადგილი არ ჰქონია, რამაც ამ სახელმწიფოს იურიდიული უპირატესობა მიანიჭა და მსოფლიოს თვალში საბჭოთა ექსპანსიის მსხვერპლად წარმოაჩინა. სიტუაცია კი სახელმწიფოში გაცილებით გაუარესდა. „ნორმალიზაციის“ პროცესმა სრულიად მოსპო „პრაღის გაზაფხულის“ ღირებულებები. დააბრუნა ძველი, ტოტალიტარული მმართველობა და სახელმწიფო მდგომარეობა სოციალ-ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო დაამძიმა. ჩეხოსლოვაკია 220 000-მა ადამიანმა დატოვა (Migrations, Transfer and Exile in 1969-1989).

კოლექტიური უსაფრთხოების თავდასაცავად გადადგმული ნაბიჯი კანონით გამართლდა სექტემბერში გამოცხადებული „ბრეჟნევის დოქტრინით“, რომელიც კოლექტიურ მმართველობის დამყარებას აცხადებდა სოციალისტურ ქვეყნებს შორის და განმარტავდა საერთო კეთილდღეობისთვის მათ საშინაო პოლიტიკაში ჩარევის საჭიროებას. „კავშირის შესუსტებას ნებისმიერ სოციალისტურ სისტემაში ყველა სოციალისტურ ქვეყანაზე აქვს პირდაპირი გავლენა, რაც არ უნდა გახდეს გულგრილობის მიზეზი...“ (Ковалев 1968ბ: 4). „ბრეჟნევის დოქტრინა“ აცხადებდა პოლიცენტრულ მმართველობას, რაც გულისხმობდა საერთო პოლიტიკის გატარების აუცილებლობას ბლოკის წევრ ყველა სახელმწიფოში. მოსახლეობის მხრიდან, რასაკვირველია, ადგილი ჰქონდა პროტესტს, რომელიც გამოიხატა სლოგანებში, გრაფიტებსა თუ სხვა მშვიდობიან გამოხატულებებში (McDermott 2015: 148). შეიარაღებული თავდასხმის გამორიცხვა დიდი „ტაქტიკური“ ნაბიჯი იყო ჩეხოსლოვაკიელებისათვის, რათა ვარშავის პაქტის ინტერვენციას გამართლება არ ჰქონოდა. პრაღის გაზაფხული სწორედ ამით განსხვავდება 1956 წელს უნგრეთში მომხდარისაგან, სადაც შეიარაღებული, ღიად ანტიკომუნისტური ხედვების გაჟღერებისთვის დაისაჯა ხალხი და შეიწირა გაცილებით მეტი სიცოცხლე, ვიდრე ეს პრაღაში მოხდა. „ნორმალიზაციის“ პროცესი დაიწყო როფორმისტების მმართველობიდან და პარტიიდან თანდათანობითი ჩამოშორებით. 1969 წელს გადააყენეს თავად დუბჩეკიც და მის ნაცვლად აირჩიეს გუსტავ ჰუსაკი, ასევე სლოვაკი პოლიტიკოსი, რომელმაც მოსკოვს „ნორმალური“ მდგომარეობის აღდგენის პირობა მისცა. 1968 წლის დეკემბერში ჩატარებულმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ მხოლოდ 4%-ს ჰქონდა „მომავლის იმედი და რწმენა“ (McDermott 2015: 148). ვფიქრობ, საყოველთაო აპათიას გამოხატავს იან პალახის, კარლის უნივერსიტეტის სტუდენტის ქმედება, რომელმაც 1969 წლის 16 იანვარს პრაღის ცენტრში საჯაროდ დაიწვა თავი.

ამგვარად, „პრაღის გაზაფხულის“ რეფორმები შეწყდა, რეფორმატორები ჩამოშორდნენ მმართველობას, აღდგა რეჟიმი, რომელმაც დაამტკიცა თავისი უუნარობა და უშედეგობა. სამაგიეროდ, „ბრეჟნევის დოქტრინის“ გამოცხადებამ, ჩეხოსლოვაკიის საშინაო პოლიტიკაში უხეშად ჩარევის პრეცედენტმა, ორად გაყო სოციალისტური სახელმწიფოები და სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტური პარტია. სამხედრო ინტერვენციამ კიდევ ერთხელ გამოაჩინა საბჭოთა კავშირის, „ბოროტების იმპერიის“, სისასტიკე, რომელიც არა მხოლოდ კაპიტალისტური სახელმწიფოების მიმართ გამოირჩეოდა აგრესიით. მსგავსად „ისჯებოდა“ მისივე მომხრე, მოკავშირე, სახელმწიფოც.

„პრაღის გაზაფხულის“ პოზიტიურმა რეფორმებმა კომუნისტური სახელმწიფოების ორ პოლუსად გადანაწილება გამოიწვია, იმის მიხედვით, რას უფრო დიდ საფრთხედ აღიქვამდნენ – რეფორმათა შინაარსსა თუ ინტერვენციას. დასავლეთ ევროპის, ლათინო ამერიკისა და ჩინეთის გავლენით – ავსტრალიისა და იაპონიის კომუნისტურმა პარტიებმა დაგმეს ვარშავის პაქტის წევრების ძალადობა და საბჭოთა კავშირს ბრალი დასდეს დამოუკიდებელი სახელმწიფოს სუვერენიტეტის შეზღუდვაში. ალბანეთმა საბოლოოდ დატოვა ვარშავის პაქტი, რუმინეთი მისი ლიდერის, ჩაუშესკუს განცხადებით განუდგა პაქტის გადაწყვეტილებებს და 22 აგვისტოს სიტყვით გამოსვლისას დაგმო ინტერვენცია. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ სახელმწიფოთა პოზიცია გამოწვეული იყო უსამართლობის გრძნობით, რადგან ჩეხოსლოვაკიის შემთხვევა პრეცედენტს უშვებდა. ინტერვენციის საფრთხე, რასაკვირველია, მათაც ემუქრებოდათ, მაგრამ იუგოსლავიით გარშემორტყმული ალბანეთი, რომელიც ჩინეთის მხარდამჭერად ითვლებოდა და ტოტალიტარული რეჟიმის მქონე რუმინეთი, რომლის მოსახლეობა მხარს უჭერდა ლიდერ ჩაუშესკუს, გრძნობდნენ მსგავსი განცხადების გაკეთების აუცილებლობას. საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ გამოხატა „გაოცება და უარყოფა“, იტალიურმა „გაუმართლებლად“ გამოაცხადა მომხდარი და მოითხოვა პაქტის წევრებისაგან, დაეტოვებინათ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორია (Blunden 1993). ავსტრალიის განცხადებით „რთული დასაჯერებელია, რომ საბჭოთა კავშირი გაიაზრებს დანაშაულს, რომელიც ამგვარი ქცევით სოციალიზმის იმიჯს მიადგა მსოფლიოში“ (Blunden 1993). ჩინეთის განცხადებით ჟოუ ენლაი მხარს უჭერდა ჩეხოსლოვაკიას და საბჭოთა კავშირს მარქსიზმ-ლენინიზმის ღალატსა და რევიზიონიზმში სდებდა ბრალს, ინტერვენციას კი ბარბაროსულს და ფაშისტურს უწოდებდა (Premier Chou En – Lai Makes Important Speech 1968: 7).

ინტერვენცია სიტყვიერად დაგმო დასავლეთ ევროპამაც. მათი მხრიდან 21 აგვისტოს წინასწარი განხილვის შედეგად უშიშროების საბჭოს გადაეცა წინადადება, გამოერკვია ჩეხოსლოვაკიაში შექმნილი სერიოზული ვითარება, თუმცა საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის მხრიდან აქტიურობის მიზეზით პროექტი არ დაამტკიცეს. საბჭოთა კავშირის განცხადებით, „წინადადება უსაფუძვლოა [...] და ამ საკითხის განხილვა იმ გარკვეული აგრესიული წრეების ინტერესების შესაბამისი იქნება, რომლებსაც სურთ საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავება“. (იმპერიალისტების საშარო საჩივარი გაერთიანებული ერების ორგანი-

ზაციაში 1968: 4). ასევე, არც ჩეხოსლოვაკია დათანხმდა საკითხის გარკვევას (რასაკვირველია, საბჭოთა კავშირის შიშითა და იძულებით). ბრაზილიის ჟურნალ "Jornal Do Brasil"-ის 23 აგვისტოს სტატიაში ვკითხულობთ: „თუკი საბჭოთა კავშირს შეუძლია დაარღვიოს საერთაშორისო პრინციპები, რადგან ტერიტორიას საკუთარი იურისდიქციის ქვეშ მოიაზრებს, მაშინ არ არსებობს იმედი, რაიმე დოქტრინის არსებობის, რომელიც შეაჩერებს კუბას იმავეს გაკეთებისაგან" (Castro comments on Czechoslovak crisis 1968). როგორც ჩანს, კოლექტიური მშვიდობისთვის ჩადენილი დანაშაული საფრთხეს უქმნიდა საბჭოთა კავშირისაგან ასე შორს მყოფ სოციალისტურ ქვეყნებსაც, რადგან დასავლეთ ნახევარსფეროში საბჭოთა კავშირს კუბა წარმოადგენდა.

საბჭოთა პოზიცია გაიზიარეს აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა, ინტერვენციის მონაწილე პოლონეთმა, გდრ-მა, უნგრეთმა და ბულგარეთმა. საბჭოთა მხარე დაიჭირა საბერძნეთის, კვიპროსის, შრი-ლანკის (ცეილონის), იემენისა და სხვათა კომუნისტურმა პარტიებმა. თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი სახელმწიფოს ლიდერმა ინდივიდუალურად მიმართა მოქალაქეებს და მიულოცა საბჭოთა კავშირს გამარჯვება იმპერიალისტური ძალების და კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. განცხადებებში შეიმჩნეოდა შაბლონურობა. „აღნიშნული მოქმედება მიმართული არ არის რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ და არ ლახავს არც ერთი ქვეყნის ინტერესებს. იგი ემსახურება მშვიდობის მიზანს და ნაკარნახევია მისი განმტკიცებისათვის ზრუნვით. ვერასოდეს და ვერავის ვერ მივცემთ უფლებას თუნდაც ერთი რგოლი გამოგლიჯოს სოციალისტურ სახელმწიფოთა თანამეგობრობას" – აღნიშნულია გაზეთ „კომუნისტის" 22 აგვისტოს გამოქვეყნებულ სტატიაში (საკდესის განცხადება 1968: 1)

კუბის ლიდერმა, ფიდელ კასტრომ თავის მოქალაქეებს 24 აგვისტოს მიმართა. მან მხარდაჭერა გამოუცხადა ვარშავის პაქტის ჯარებს და სამართლიანად მიიჩნია ინტერვენციის გადაწყვეტილება. ფიდელ კასტრომ ხაზი გაუსვა ყველა იმ საშიშ პროგრესულ პროცესებს, რასაც ჩეხოსლოვაკიაში ჰქონდა ადგილი და პრაგმატულობით გაამართლა „ოპერაცია დუნაი", თუმცა ვერც მან აუარა გვერდი საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევის ფაქტს. ფიდელ კასტროს აზრით, „ოპერაცია დუნაის" განხორციელება ინტერნაციონალისთვის იყო პრაქტიკულად აუცილებელი, თუმცა სამართლებრივად არაკანონიერი. მიუხედავად საბჭოთა კავშირის მიმართ გამოთქმული მხარდაჭერისა, ფიდელ კასტრო არც საყვედურებისგან იკავებდა თავს. ჩეხოსლოვაკიაში, როგორც დასავლეთთან გეოგრაფიულად ახლოს მყოფ რეგიონში, აუცილებელი იყო კომუნიზმის განმტკიცება, თუმცა ასევე აუცილებელი იყო კუბაში, სადაც იმპერიალისტური სახელმწიფოების მხრიდან თავდასხმის საფრთხე უფრო მძაფრად იდგა. ფიდელ კასტრომ მოქალაქეებს კუბის კრიზისის დროს ევროპის სახელმწიფოების ჩაურევლობა გაახსენა და დასვა კითხვა, გამოიჩენდა თუ არა ვარშავის პაქტი მსგავს „მზრუნველობას" ვიეტნამის, კორეის ან კუბის საფრთხეში ყოფნის შემთხვევაში? (Castro comments on Czechoslovak crisis 1968). ან ვინ იზრუნებდა რევიზიონიზმის წინააღმდეგ თავად საბჭოთა კავშირში ან ინტერვენციის მონაწილე სხვა სახელმწიფოებში, რადგან კუბის ლიდერის აზრით, საეჭვო

გადაწყვეტილებებს, ნორმიდან გადახვევას ჰქონდა ადგილი „ოპერაცია დუნაის“ მონაწილეებს შორისაც. „ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ბურჟუაზიულ-ლიბერალური რეფორმების ჩეხოსლოვაკიაში, ისევე, როგორც ყველა სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოში, სადაც ისინი ასევე შეიმჩნევიან“ (Castro comments on Czechoslovak crisis 1968). თავად ფიდელ კასტროს, ინტერვენციის მომხრე პოლიტიკოსის, პოზიციაც კი აშკარას ხდიდა სოციალისტურ ბანაკში არსებულ განხეთქილებას. ფიდელ კასტრო საჯარო სიტყვით გამოსვლისას ხაზს უსვამდა საბჭოთა კავშირის და ვარშავის პაქტის სახელმწიფოთა არაკომუნისტურ, გაუმართლებელ ნაბიჯებს, ეწინააღმდეგებოდა და აკრიტიკებდა საბჭოთა პოლიტიკას რიგ საკითხებში.

არანაკლებ საინტერესოა, რამდენად ჩაერივნენ კრიზისში დასავლური სახელმწიფოები. როგორც გერმანული გაზეთი “Der Spiegel” წერს, დუბჩეკის შეთავაზებები დიპლომატიურ ურთიერთობების აღდგენასა და ეკონომიკურ შეთანხმებებზე გფრ-მა უარყო „დასავლეთ გერმანელი ხალხი ვეღარ გაბედავს ახლო ურთიერთობის ქონას ჩეხებთან და სლოვაკებთან“ (Pilsener Uquell 1968). გფრ-ის კანცლერის, კურტ კიზინგერის განცხადებით „განრისხებულმა საბჭოელებმა შესაძლოა ძალის გამოყენებით შეაჩერონ ლიბერალიზაციის პროცესი ჩეხოსლოვაკიაში და გერმანია შესაძლოა აღმოჩნდეს ამ ქვეყნის წნეხის მიზეზი“ (Pilsener Uquell 1968). გაზეთ „კომუნისტში“ 12 ივლისს გამოქვეყნებულ სტატიაში ვკითხულობთ: „სოციალიზმისადმი მტრული ძალები ჩეხოსლოვაკიაში ცდილობენ სახელი გაუტეხონ და ჩირქი მოსცხონ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიას, [...] რომ საბოლოო ანგარიშით ჩეხოსლოვაკია კაპიტალიზმის რესტავრაციის გზაზე დააყენონ. მტრები ცდილობენ ძირი გამოუთხარონ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მეგობრობას საბჭოთა კავშირთან და სხვა მოძმე ქვეყნებთან“ (იერიში ჩეხოსლოვაკიაში სოციალისტური საყრდენების წინააღმდეგ 1968: 3) .დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს ჩეხოსლოვაკიასთან მინიმალური ჩარევით არ გაეღიზიანებინათ საბჭოთა კავშირი, რომელიც დასავლეთის მხრიდან ენთუზიაზმს, მხარდაჭერას, ჩეხოსლოვაკიის და ლიბერალურ რეფორმათა საწინააღმდეგოდ გამოიყენებდა. ბრიტანეთის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში – სერ უილიამ ბარკერი – თავის ჩანაწერებში იხსენებდა, რომ „დასავლეთის მცდელობა შეასუსტოს ჩეხოსლოვაკიის კავშირი სოციალისტურ ბლოკთან ამ დროს არასწორი იქნება და აუცილებლად ბუმერანგივით მოგვიბრუნდება“ (Newman 2003: 92). ბრიტანეთის მთავრობა ფიქრობდა, რომ ჩეხოსლოვაკიაში ლიბერალური რეფორმების დაკანონებით დასავლური ინტერესები გაიმარჯვებდა, ჩეხოსლოვაკიის მაგალითს გადაიღებდნენ სხვა სოციალისტური სახელმწიფოებიც, რაც საბჭოთა გავლენას რეგიონში შეასუსტებდა, ხოლო სამხედრო ინტერვენციით ჩეხოსლოვაკიის დასჯა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო რეპუტაციაზე იმოქმედებდა ცუდად. ამგვარად ჩეხოსლოვაკიაში მოვლენათა ნებისმიერი დასრულების მიუხედავად, დასავლეთის სახელმწიფოები თავისებურად მოგებულები გამოვიდოდნენ ყველანაირი ჩარევის გარეშე (Newman 2003: 92). რაც შეეხება აშშ-ს პოზიციას, მისმა პრეზიდენტმა ჯონსონმა განაცხადა: „ვფიქრობ,

არ გვაქვს მიზეზი ვიმოქმედოთ ჩეხოსლოვაკიის საკითხზე მანამ, სანამ სიტუაცია არ გაირკვევა“ (Dawisha 1984: 76). მნიშვნელოვანია საერთაშორისო სიტუაციის განხილვაც, რომელიც გასაგებს გახდის დასავლეთის ამგვარ პასიურობას. ჯონსონის პრეზიდენტობის პირობებში, ვიეტნამის ომის მსვლელობისას აშშ-სა და სსრკ-ს შორის მიმდინარეობდა ორმხრივი მოლაპარაკებები ატომური იარაღზე შეთანხმების მისაღწევად და ვიეტნამის ომში სტატუს-კვოს აღსადგენად. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მიმდინარე ომის პარალელურად აღმოსავლეთ ევროპაში სიტუაციის გართულება და დასავლეთის ჩარევა ორ ფრონტზე ბრძოლას გამოიწვევდა, რაც შესაძლოა გადართულიყო მხარეებს შორის „ცხელ ომში“, ეს კი détante-ს პირობებში მიუღებელი იყო. 1969 წელს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენარულ სესიაზე ვასილ ბილაკმა შეაჯამა საბჭოთა კავშირის პოლიტიკა ჩეხოსლოვაკიასთან დაკავშირებით: „ჩეხოსლოვაკიისთვის ნების მიცემა, რომ ჩამოშორებულიყო სოციალისტურ ბანაკს ნიშნავდა სოციალიზმის ღალატს და მეორე მსოფლიო ომის შედეგების ანულირებას. [პაქტის წევრები] ამას არ დაუშვებდნენ თუნდაც მესამე მსოფლიო ომის ხარჯად“ (Dawisha 1984: 76). ამგვარად, აშშ-სა და სსრკ-ს შორის მოლაპარაკებების დროს ახალ კონფლიქტში დაზარალებულ სახელმწიფოს-ჩეხოსლოვაკიას დასავლეთის მხრიდან აქტიური ჩარევის იმედი არ უნდა ჰქონოდა. ასევე, პასუხი უნდა გაეცეს აშკარა კითხვას, აშშ-სთვის რომელ სახელმწიფოსთან იქნებოდა უფრო ხელსაყრელი და პერსპექტიული ურთიერთობის დალაგება: ჩეხოსლოვაკიასთან თუ საბჭოთა კავშირთან?

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთის სახელმწიფოები მხარს უჭერდნენ ჩეხოსლოვაკიის ლიბერალიზაციის პროცესს, ინტერვენციის შემდეგ არც ერთმა სახელმწიფომ არ მიმართა სანქციებს ან პროტესტის სხვა ეფექტურ ფორმას. ჩეხოსლოვაკიის კრიზისი მხოლოდ სოციალისტური ქვეყნებით შემოიფარგლა. დასავლეთი კი მოვლენათა მაყურებლად მოგვევლინა. საგარეო პოლიტიკაში სახელმწიფოთა პასიურობა არ უნდა აღვიქვათ ამავე ქვეყნებში პოლიტიკური სტაბილურობის გარანტიად. სოციალისტურ სახელმწიფოებში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპაში დაიწყო სტუდენტთა საპროტესტო გამოსვლები, რომლებიც თანაუგრძნობდნენ ჩეხოსლოვაკიელებს, მხარს უჭერდნენ მათ ლიბერალურ პოზიციას და მოითხოვდნენ იმავეს მათ სახელმწიფოებშიც (Tschechoslowakei/Sowjet-Einmarsch: Potschemu?: 1968). „პრაღის გაზაფხულის'“ მოვლენები ნამდვილად იქცა სოციალისტური ბანაკის მღელვარების მიზეზად. ლოზუნგის – „სოციალიზმი ადამიანური სახით“ – ქვეშ გაერთიანდნენ როგორც ჩეხები და სლოვაკები, ასევე პოლონელები, ბულგარელები, გერმანელები... სოციალისტურ ბანაკში გაჩნდა პრეცედენტი სოციალიზმისა ცენზურის გარეშე, კომუნიზმის – რეპრესიებისა და ერთპარტიულობის გარეშე. გაჩნდა ეჭვები და კვლავ გაღვივდა პროტესტის ტალღა, რომელმაც საბჭოთა კავშირი და სოციალისტური ბლოკის სახელმწიფოები მიიყვანა ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობამდე, რამაც ზემოთ ჩამოთვლილ სახელმწიფოებს დამოუკიდებლობა მოუტანა.

ჩვენ დაზუსტებით ვერ გვეცოდინება, იქნებოდა თუ არა დემოკრატიული პროცესები ჩეხოსლოვაკიაში კომუნისტური პარტიის დამხობის მიზეზი, თუმცა მომხდარიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ლიბერალურ რეფორმებს დადებითი გავლენა უნდა ჰქონოდა ჩეხოსლოვაკიის მოსახლეობაზე. „პრაღის გაზაფხულის" მოვლენას მთელი სახელმწიფო უჭერდა მხარს, კომუნისტური პარტია ამ სახელმწიფოში მისი არსებობის დღიდან დამხობამდე, ასეთი პოპულარული არასოდეს ყოფილა. დასახულმა გეგმამ უმთავრესი – კომუნისტური პარტიის გავლენის აღდგენის მისია – ინტერვენციამდე შეასრულა. ცალკე საკითხია, რამდენად შეცვლიდა რეფორმები ჩეხოსლოვაკიის საგარეო კურსს. ჩეხოსლოვაკია საკუთარ თავს ყოველთვის დასავლეთად მოიხსენიებდა. კონკურენტული ეკონომიკის პირობებში, ვფიქრობთ, დასავლეთთან ურთიერთობების გაღრმავების შესაძლებლობა არსებობდა, თუმცა კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთობებში თავად საბჭოთა კავშირი და ჩინეთიც იყვნენ „მხილებულები", ამგვარად ჩეხოსლოვაკიის „დანაშაული" ობიექტურად არ იკვეთება. საბჭოთა კავშირის კიდევ ერთი შიში მდგომარეობდა ჩეხოსლოვაკიის სახით აღმოსავლეთ ევროპაში იუგოსლავიის მსგავსად დამოუკიდებელი საგარეო კურსის მქონე სახელმწიფოს შექმნაში, რაც, ვფიქრობთ, აუცილებლად გამართლდებოდა. ჩვენი გადმოსახედიდან, საბჭოთა კავშირისთვის „პრაღის გაზაფხული" ნებისმიერ შემთხვევაში – ჩარევისა თუ ჩაურევლობის შემთხვევაში, იქნებოდა პოლიტიკური მარცხი. რეფორმების წარმატებულობა გამოიწვევდა იგივე კურსის მოთხოვნას ვარშავის პაქტის სხვა სახელმწიფოებში, მათ შორის საბჭოთა კავშირში, ჩაურევლობა კი გამოიწვევდა ბანაკისთვის ასეთი მნიშვნელოვანი „რგოლის" დაკარგვას.

თანამედროვეობაში, როცა საბჭოთა კავშირის დაშლის მიუხედავად იმპერიალისტური აგრესია სამართალმემკვიდრე რუსეთის მხრიდან არ წყდება, „პრაღის გაზაფხულის" აქტუალობა კვლავ დგება. რუსეთი კვლავაც ერევა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა საშინაო პოლიტიკაში მათი საგარეო კურსის შეცვლის განზრახვით. იმედს ვიტოვებთ, წარმოდგენილმა სტატიამ შეძლებისდაგვარად გამოხატა მოვლენის ღირებულებები, გამორჩეულობა და მნიშვნელობა თანამედროვე პერიოდში. მიუხედავად 50 წლის წინ განხორციელებული აგრესიისა და დღეს რუსეთის მხრიდან მომდინარე საფრთხისა, დემოკრატიული პროცესების გამარჯვების იმედი არც თანამედროვეობაში ქრება, რადგან როგორც ჩილელმა ნობელიანტმა პოეტმა პაბლო ნერუდამ აღნიშნა, „შესაძლოა გათელოთ ყვავილები, მაგრამ ამით გაზაფხულის მოსვლას ვერ შეაჩერებთ".

გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის ნუსხა:

- **იერიში ჩეხოსლოვაკიაში სოციალისტური საყრდენების წინააღმდეგ 1968:** იერიში ჩეხოსლოვაკიაში სოციალისტური საყრდენების წინააღმდეგ, „გაზეთი კომუნისტი", 12 ივლისი, 1968, №161;
- **იმპერიალისტების საშარო საჩივარი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში 1968:** იმპერიალისტების საშარო საჩივარი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, „გაზეთი კომუნისტი". 23 აგვისტო, 1968, №197;

- **საკდესის განცხადება 1968:** საკდესის განცხადება. „გაზეთი კომუნისტი“, 22 აგვისტო, 1968. №196;
- **Blunden 1993:** Blunden Andy, Stalinism: It's Origin and Future: The International Break-up of Stalinism. 1993; ხელმისაწვდომია: https://www.marxists.org/subject/stalinism/origins-future/ch3-2.htm#1-0 (ბოლოს დამოწმებულია: 06.09.2023);
- **Castro comments on Czechoslovak crisis 1968:** Castro comments on Czechoslovak crisis, Havana Domestic Television and Radio Services in Spanish. 0102GMT 24 august 1968. Translated: US government, Foreign Broadcast in Formation Service. Latin American Network Information Centre (LANIC) ხელმისაწვდომია: http://lanic.utexas.edu/project/castro/db/1968/19680824.html (ბოლოს დამოწმებულია: 06.09.2023);
- **Dawisha 1984:** Dawisha Karen, Kremlin and the Prague Spring, Berkley: University of California press, 1984;
- **Dubcek Speech 1968:** Dubcek Speech: Radio Czechoslovakia in Slovak 1650 GMT 27 August, 1968. Central Intelligence Agency (CIA) ხელმისაწვდომია: https://archive.org/details/FBIS-DubcekSpeech-RadioCzechoslovakia1968-08-27b/mode/2up (ბოლოს დამოწმებულია: 06.09.2023);
- **Goodman 1969:** Goodman Richard M. The Invasion of Czechoslovakia: 1968. International Lawyer, October, 1969, Vol.4, №1;
- **Kemp-Welch 2018:** Kemp-Welch Tony, To Hell with Sovereignty! Poland and the Prague Spring East Europe In the Prague Spring, Paglave Macmillan: 2018;
- **Letter from Czech Commun.... 2012:** Letter from Czech Communist Politicians to Brezhnev Requesting Soviet Intervention in Prague Spring. Wilson Centre Digital Archive, ხელმისაწვდომია: https://digitalarchive.wilsoncenter.org/document/letter-czech-communist-politicians-brezhnev-requesting-soviet-intervention-prague-spring (ბოლოს დამოწმებულია: 06.09.2023);
- **McDermott 2015:** McDermott Kevin, Communist Czechoslovakia A Political and Social History 1945-1989, New York: Palgrave Macmillan, 2015;
- **Migrations, Transfer and Exile in 1969-1989:** Migrations, Transfer and Exile in 1969-1989, Czcech Historical Atlas (CHA) ხელმისაწვდომია: https://cha.fsv.cvut.cz/en/mapp.php?map=4Df (ბოლოს დამოწმებულია: 06.09.2023);
- **Newman 2003:** Newman Michael, Britain, the USA and the Czechoslovakia Crisis of 1968, Labour Focus on Eastern Europe, London, 2003;
- **Premier Chou En– Lai Makes Important Speech 1968:** Premier Chou En– Lai Makes Important Speech, ჟურნალი Peking Review, September 6, 1968, №36;
- **The Action Programme 1969:** The Action Programme of the Communist Party of Czechoslovakia, Document №16, Winter In Prague: Documents on Czechoslovak Communism in Crisis, London: Cambridge M.I.T Press, 1969. ხელმისაწვდომია: https://archive.org/details/winterinpraguedo0000remi/page/n9/mode/2up (ბოლოს დამოწმებულია: 06.09.2023);
- **Vaculik 1969:** Vaculik Ludvik, Two Thousand Words: A Manifesto for Prague. Doc. 29 Winter In Prague: Documents on Czechoslovak Communism in Crisis, London: Cambridge M.I.T Press, 1969.
- **Whetten 1969:** Whetten Lawrence L., Military Aspects of the Soviet Occupation of Czechoslovakia, The World Today, Feb 1969, 60-68,Vol.25, №2;
- **Tschechoslowakei/Sowjet-Einmarsch: Potschemu?: 1968:** Tschechoslowakei/Sowjet-Einmarsch: Potschemu?, Der Spiegel, August 25, 1968. ხელმისაწვდომია:

https://www.spiegel.de/politik/potschemu-a-531bddb0-0002-0001-0000-00004 5954078?context=issue (ბოლოს დამოწმებულია: 06.09.2023);

- **Pilsener Uquell 1968:** Pilsener Uquell, Der Spiegel, №29, 14 Juli, 1968. ხელმისაწვდომია: https://www.spiegel.de/politik/pilsener-urquell-a-191423cb-0002-0001-0000-000 045996040?context=issue (დამოწმებულია: 05.09.2023);
- **Ковалев 1968ა:** Ковалев Сергей, Марксизм И Современная Идейная Ворьба, გაზეთი Правда. 25 Апрель,1968. № 116;
- **Ковалев 1968ბ:** Ковалев Сергей, Суверенитет И Интернациональные Обязанности Социалистических Стран, გაზეთი Правда, 6 Септември,1968, №270;
- **Центральному Комитету... 1968:** Центральному Комитету Коммунистической Партии Чехословакии, გაზეთი Правда, 18 Июль, 1968, №200.

Tamar Samarguliani

MA Program in Modern and Contemporary History, TSU

"PRAGUE SPRING" – THE CRISIS IN THE SOCIALIST CAMP (SUMMARY)

On January 5, 1968, after Alexander Dubcek became the First Secretary of the Communist party of Czechoslovakia, the political movement called "Prague Spring" began. The political movement set a goal: if they wanted to connect with the people's interests, develop country in the international platforms and fully achieve true form of the socialism – "the socialism with a human face"– they needed to implement liberal, democratic changes in the country. In order to change the system, the government admitted the mistakes the Party had made and set a plan to amend them. However, we must remember that it was the same Party, who promised the changes. The Communist Party of Czechoslovakia was initiating progress, so they didn't intend to harm the Party's reputation, or risk, losing people's trust. The positive changes that took place in the Czechoslovak Socialist Republic were unacceptable to the other countries in the Warsaw Pact. Additionally, they were concerned that these democratic reforms in Czechoslovakia would lead to closer connections with capitalist states, potentially leading to the downfall of communism.

The concern led to the invasion planned by the Warsaw Pact, which interrupted the people's supported "Prague Spring" movement. In this article, we have decided to analyze the decision-making process among the Pact members and the resonance it had among the Socialist states and Capitalist countries.